

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის გიმნაზია

„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ “

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზიის რექტორი:
მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეპისკოპოსი
მელქისედეკი (ხაჩიძე)
ბრძანება 08/2; 20.10.2022 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში
მოსწავლეთა ქცევის წესები

ქცევის კოდექსი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანებას #79/ნ; 30.08.2010 წელი

ხარაგაული
2022 წელი

ბრძანება #08/2; 20.10.2022 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში
მოსწავლეთა ქცევის წესები

ქცევის კოდექსი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანებას #79/ნ; 30.08.2010 წელი

მოსწავლის ქცევის კოდექსი არეგულირებს მოსწავლის ქცევის წესებს, რომლებსაც
მოსწავლე იცავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში, აგრეთვე სკოლის
მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს.

მოსწავლის ქცევის წესები

მუხლი 4. მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთან დამოკიდებულება

1. მოსწავლე ყოველთვის თავაზიანია მასწავლებელთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა
პირთან ურთიერთობაში და არ აყენებს მათ რაიმე სახის შეურაცყოფას.

2. მოსწავლე ემორჩილება სკოლის დირექტორის, მასწავლებლის, სკოლაში
დასაქმებული სხვა პირისა და მანდატურის კანონიერ მითითებებს.

მუხლი 5. მოსწავლეებთან დამოკიდებულება

მოსწავლე თავაზიანად ეპყრობა სხვა მოსწავლეებს, თავს იკავებს მათთან ძალადობის
მუქარისა, ცილისწამებლური ან დამცინავი განცხადებებისაგან და არ აყენებს მათ
რაიმე სახის შეურაცყოფას.

მუხლი 6. მოსწავლის ჩაცმის წესები

მოსწავლე სკოლაში ცხადდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის
შესაფერისი სამოსითა და აქსესუარებით.

მუხლი 7. მოსწავლის ქცევა სკოლის ტერიტორიაზე, სასწავლო პროცესისა და სასკოლო
ღონისძიებების დროს.

1. მოსწავლე დროულად ცხდდება გაკვეთილზე ან სკოლის მიერ ორგანიზებულ
სხვა ღონისძიებაზე;
2. გაკვეთილზე ყოფნისას მოსწავლეს აქვს სასწავლო პროცესისათვის
აუცილებელი ნივთები;
3. მოსწავლე გამოხატავს აზრებს და შეხედულებებს სხვა პირთა უფლებების
შელახვის გარეშე;
4. მოსწავლე არ იყენებს მობილურ ტელეფონს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს
სასწავლო პროცესის დროს, არასასწავლო მიზნით;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

5. მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებლებსა და სხვა მოსწავლეებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
6. მოსწავლე პატივს სცემს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად;
7. მოსწავლე არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;
8. მოსწავლე არ ტოვებს გაკვეთილს მასწავლებლის ნებართვის გარეშე;
9. მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას;
10. მოსწავლე იცავს სისუფთავეს სკოლაში სა მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მუხლი 8. სკოლაში აკრძალული ნივთები

მოსწავლე არ ცხადდება სკოლაში შემდეგი ნივთებით:

ა)თამბაქოს ნაწარმი;

ბ)ყველანაირი სახის იარაღი ან ისეთი ბასრი ნივთები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იარაღად;

გ)სანთებელა ან ასანთი;

დ)ალკოჰოლური საშუალებები;

ე)ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;

დ)ალკოჰოლური საშუალებები;

ვ)ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობით ფული;

ზ)აზარტული თამაშის საშუალებები;

თ)უხამსობის ამსახველი ნივთები;

ი)ნარკოტიკული საშუალებები;

კ)ასაფეთქებელი და მომწავლავი ნივთიერებები;

ლ)ფსიქოტროპული საშუალებები, ექიმის შეასაბამისი ნებართვის გარეშე.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

ქცევის კოდექსით განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის გიმნაზია